ხელშეკრულება #3

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი ,,26" ,,აპრილი " 2017წ.

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი (მის: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, ტელ.: 577111575 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22, სკ-405135786), შემდგომში წოდებული `შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის ზაზა დოლიძის სახით და **შპს „ოპტიმალ სერვისი"** (მის: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის 1 შეს. N10, ტელ: 591540054, საბანკო რეკვიზიტები: ა/ა # GE45BG0000000336813100, სს საქართველოს ბანკი, ბ/კ BAGAGE22, ს/კ: 404923277) შემდგომში წოდებული `მიმწოდებლად" წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო გურგენიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები~, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება'' _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 `შემსყიდველი~ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 `მიმწოდებელი~ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 `საქონელი~ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ბეჭდვის და ადგილზე მიწოდების მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.
(CPV-79823000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: 170,67 (ას სამოცდაათი ლარი და 67 თეთრი) ლარი.**

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. **მხარეთა ვალდებულებები**

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს; მიწოდების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის N36

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. **ხარისხი**

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის სპეციალისტი ოლღა კიკაბიძე

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **5 (ხუთი)** დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისDდღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3 საქონლის მიღებას აწარმოებს: ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე გიორგი კალანდაძე

8. **ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის (თანმდევი მონტაჟით) ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. **ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის `ა~ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი #1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. **დავების გადაწყვეტა**

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი	**შპს „ოპტიმალ სერვისი“**
მის: თბილისი, უნივერსიტეტის ქ #2 ტელ: 577111575 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. # GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; სკ-405135786	მის: თბილისი, ქავთარაძის 1 შეს. N10 ტელ: 591540054 საბანკო რეკვიზიტები: ანგ: GE45BG0000000336813100 სს საქართველოს ბანკი BAGAGE22 სკ-404923277

დანართი N1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

#	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	გაკვრა			70	70
2	დაბეჭდილი ბადე-სტიკერი DX7	ცალი	1.4484	15	21,73
3	დაბეჭდილი ბადე-სტიკერი DX7	ცალი	5,2632	15	78,95
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					170,67 (ას სამოცდაათი ლარი 67 თეთრი) ლარი

მემსყიდველი

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

მის: თბილისი, უნივერსიტეტის ქ #2
ტელ: 577111575
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. # GE24NB0330100200165022;
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22;
სკ-405135786

მიმწოდებელი

შპს „ოპტიმალ სერვისი"

მის: თბილისი, ქავთარაძის 1 შეს. N10
ტელ: 591540054
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ: GE45BG0000000336813100
სს საქართველოს ბანკი BAGAGE22
სკ-404923277

მიღება_ჩაბარების აქტი#3

1 მაისი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა დოლიძის სახით "შემსყიდველი" და მეორე მხრივ, შპს „ოპტიმალ სერვისი"- `მიმწოდებელი~ ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2017 წლის 26 აპრილს დადებული #3 ხელშეკრულების თანახმად, შპს „ოპტიმალ სერვისის" მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება - გაწეულ იქნა ბეჭდვა და ადგილზე მიწოდების მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას და ვადებში და მომსახურების ღირებულება 170,67 (ას სამოცდაათი ლარი და 67 თეთრი) ლარი ექვემდებარება ანაზღაურებას ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარები ფონდი

დირექტორის მოადგილე: გიორგი კალანდაძე

"მიმწოდებელი"
შპს „ოპტიმალ სერვისი"

დირექტორი: ნინო გურგენიძე